



№ 15

13 აპრილი 1914 წ.

ქართული
მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

== 3 მან. ==

უძველესი კვირული საზოგადო-ეკონომი-

კისი და სალიტერატურო ჟურნალი

წელიწადი მესამე

ცალკე ნომერი 5 კაპ.

რედაქცია ღიაა 9—3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპუტისა: თბილისი კლდე.

ს ა რ ხ ე ვ ი:

1. საშინელი მარცხი. — ვინმე სოფლელისა.
2. საჭირო ორგანიზაცია. — დ. კახელიისა.
3. დებულება სამეურნეო და სავაჭრო თანხების მოხმარებაზედ.
4. მ რ კ ს ა.
5. სომხური შეტყობილება. — * * — ხა.
6. ტირიფონას გარშემო. — უცნობისა.
7. თავადი ამილახვარი და მისი მამულის ეიფა ქრთველ გლეხების მიერ. — ი. კერესელიძისა.
8. რამ გაამდიდრა მეურნეები ღვინოთი. — ფიფიასი.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

უძველესი კვირული საზოგადო-ეკონომიკური

და სალიტერატურო ჟურნალი

„კლდე“-ზედ.

ფ ა ს ი:	1 წლით.	3 მან.
	6 თვით.	2 მან.
	3 თვით.	1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

საშინელი მარცხი

არის უბედურება, რომელიც ადამიანს აკაფებს, ამაგრებს და მასში იწვევს გაორკეცებულს ენერგიას, ხოლო ისეთი უბედურებაც არის, რომელიც საბოლოოდ ჰხრწნის ადამიანის პიროვნებას, ჩაგრულს უფრო ჩაგრავს და წელში დაღუნულს უმეტესად ჰკაკვავს.

ამ გვარ უბედურებას, ჩვენი სრულის უძლიერების დემონსტრაციას, ჩვენს სრულს ზნეობრივს მარცხს წარმოადგენს წალკა-თრიალეთის ბერძენთა აყრა, მაკედონიაში წასასვლელად გამზადება და მათთან ერთად იმავე მაკედონიაში წასასვლელად გამზადება, ქართველ მემამულეთა მიერ შეწუხებულ თრიალეთის ქართველებისა.

არ გვგონათ რომ ეს ქართველობა ბერძენთა ტალღას მიტომ აჰყვა, რომ მათ სამშობლოში მათთვის აღგილი აღარ კმაროდეს.

არა მათ გარშემო სხვა და სხვა ჯურის ხალხი დღესაც შოულობს, დღესაც ყიდულობს მიწებს, სახლდება, იფურჩქნება, მდიდრდება და მრავლდება, მხოლოდ უხელმძღვანელოთა და უპატრონოდ დარჩენილი ქართველი ხალხი, მოკლებულია საშუალებას ან რაიმე შეიძინოს ან გაუმკლავდეს კერძო პირების გაუმადლარ მადას.

საუკუნებრივი იარა ქართველ ერის სხეულისა ვერ იქმნა, ვერ შეკრულა, გადმონადენ ჩირქის ქვეშ არა სჩანს ახალი ხორცი, რომელმაც უნდა ამოავსოს ეს იარა და, სასოწარკვეთილს უფრო და უფრო გივლევებს შავი ფიქრები: „იქნებ სხეული უკვე ურჩენელ გახწრნით არის მოცული და ნელი ხრწნა და ბოლოს სიკვდილი აუცილებელია“.

მარა დაუბრუნდეთ საგანს.

გაბეზრებულმა მაჰმადიანობამ შეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეში მთელი თვისი ძალა აკვეთა ქართლ-კახეთის საბოლოო მოსასპობლად. მართალია ამ საშინელის, ჯოჯოხეთურის ბრძოლიდამ ქართველობა გამარჯვებული გამოვიდა, მაგრამ დიდად ვნებული დიდად დაკოდილი, ამ ბრძოლაში კახეთმა დაჰკარგა თვისი საუკეთესო აღმოსავლეთი ნაწილი, ხოლო ქართლს მაშინდელი გახრწებული „სამხრეთი“ დღეს ეკარგება საბოლოოდ.

„სამხრეთი“ ანუ „სომხეთი“, როგორც მერე უწოდებდნენ მას შეიცავს უუმშვენიერეს, და უუმდიდრეს პროვინციებს, სახელდობრ: საბარათიანოს, საორბელიანოს, თრიალეთს, წალკას, ტაშირსა და

ბამბაკს (დღევანდელი ბორჩალოს მაზრა და ნაწილი ალექსანდროპოლის მაზრისა) აი ეს „სამხრეთი“ მუდამ ყოფილა და დღესაც არის ქალაქ თბილისის პირდაპირი მასაზრდოვბელი. თქმა არ უნდა რომ იმ დროინდელი საქართველოს მმართველობა შეეცადებოდა ამ მხარის შევსებას, მარა საიდან? იმ კახეთიდან, სადაც შაჰაბაზმა მოწყვიტა და დაარყვევნა 200,000 კაცამდე! ან იმ ქართლიდან, სადაც გაწყვეტილი ქართველების შესავსებლად პირიქითიდან ოსებს ერეკებოდნენ ქართლის მინდორ-ხეობებში დასასახლებლად! ცხადია რომ არა!

და აი მეფე ერეკლემ უწოდა ერევნისა და ყარაბაღის სახანოების სომხებს და მათაც მაშინვე იწყეს დენა ამ პროვინციაში, ხოლო შემდეგ რუსობისას 1828 - 29 წლებში ხომ ზღვის ტალღასავით გადმოხეთქა ოსმალეთიდან სომხობა და ბერძნობამ. შემდეგ მათ მიემატა საკმაო რიცხვი რუსებისა. ასე რომ ამა საუკუნის დამდეგს ბორჩალოს მაზრაში ჩვენ ვხედავთ თითქმის თანასწორ რიცხვს: თათრებისას, სომხებისას, რუსებისას და ბერძენ-ქართველებისას.

ცხადია რომ ოთხ ელემენტში ქართველთა მისწრაფების წინააღმდეგ მხოლოდ ბერძენები არ გაილაშქრებდნენ მტრულად. მართლაც და მიუხედავად ათას გვარ პროვოკაციისა ამ ასი წლის განმავლობაში, ბევრი მათგანი გაქართველდა, ბევრია ბერძნის ქალი ქართლის სოფლებში გათხოვილი ბევრს მათგანს აქვს ქართველებში ნათელ-მირონი და მოყვარეობა. სცდება ბატონი დ. ვ. როცა „კლდის“ მე-14 ნომერში ბრძანებს რომ წალკა თრიალეთის ქართველობა გაბერძენდა და იმიტომ მიჰყვება ბერძენებს. ქართველი როგორ უნდა გაბერძნდეს როცა არც ერთმა ბერძნის სოფელმა, გარდა „აგრანლოისა“ ბერძნული არ იცის და ეკლესიაში საქადაგებელი და ოჯახში და საჯაროდ სახმარებელი თათრული ენა აქვთ.

არა, თრიალეთის ქართველობა მიტომ მიდის, რომ იგი უინტელიგენტოდ დარჩა, გზა ვერსად გაუკვლევია, ვერაფერი შეუძენია, ვერაფერი გაუკეთებია. ბერძენების სახით ჩვენ ვკარგავთ საკმაო დიდს მეგობრულს ძალას, მაგრამ ყველა დამეთანხმება თომ თრიალეთის ორასი კომლის დაკარგვას ჩვენთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინემ რამდენიმე ათი ათასი ბერძნის, რომლის ადგილს, უეჭველია ჩვენი რომელიმე მოწინააღმდეგე ერი დაიჭერს.

ეს ორასი კომლი ქართველი რომ ხოლერას

გაეწყვიტა, მაგ ზარალს ქართველი ერი არც კი შეიჩინებდა, ხოლო მათი დაკარგვა, რა სახითაც ჩვენ მათ ვკარგავთ დღესა, მოასწავებს ჩვენს სრულს გახრწნას, დაშლსა და დარღვევას.

იმერეთიდანაც იყრება ხალხი და მრავალი მათგანიც გვეკარგება, ხოლო ჩვენ ამას არ ვტირით, რადგან ბუნებრივია ემიგრაცია იმ ადგილიდან, სადაც ტევა აღარ არის, ხოლო აყრა იმ ქვეყნიდან სადაც მრავლად არის ხელმისაწვდომ ფასებში გასაყიდი მიწები, დაკარგვა იმ ხალხისა, რომელიც სიხარულით შეიძენდა მიწებს, ოღონდ ხელმძღვანელი ჰყოლოდა, ყოველი ეს ცხადი მაჩვენებელია ჩვენი უკიდურესი დაცვისა, უთანხმოებისა და უმხნეობისა.

რა საბუთი გვაქვს, რომ თბილისის მაზრაშიაც იგივე არ განმეორდება, რომ აქ სხვები არ შეიძენენ, ხოლო ჩვენები კი აქედანაც სხვაგან წავლენ მიწის საძებნელად.

დაად, თრიალეთის ქართველების წასვლა ჩვენი უილაჯობისა და უმოქმედობის გამოაშკარავებაა, ამ საშინელის მარცხით უნდა დამთავრდეს გაუთავებელი ლაქლაქი, უი ვბოლო პოლემიკა, მოსაბეზრებელი ლექვა და განმეორება ერთი და იგივესი და უნდა დაიწყოს, არა ჩუმის და მხნე მუშაობისა. თუმცა ამ ორას კომლ ქართველებში, ზოგმა უკვე გაყიდა თავისი მოძრავ-უძრავი ქონება და სავსებით მზად არის საბედისწერო მაკედონიაში გასამგზავრებლად, მაინც ჯერ დრო არის მათის აქგაჩერებისათვის. დაუყოვნებლივ ერთი ან ორი კაცი უნდა გაიგზავნოს თრიალეთში, ამ კაცებმა უნდა აუხსნან თუ რა სახითათა მათთვის მაკედონიაში წასვლა, რომლის გულისათვის ვერ კიდევ ბევრი სისხლი დაიღვრება და არავინ იცის საბოლოოდ ვის ხელში დარჩება, რომ ახლანდელი საბერძნეთი საშინელი ღარიბი ქვეყანაა და იქ მათ სიღარიბე და ბოლოს სიკვდილიც მოვლის, როგორც ჯავახელ ქართველ მაჰმადიანებს.

შემდეგ ამისა, გაგზავნილებმა უნდა მოუძებნონ იმავ ბორჩალოს მაზრაში საკმაო მამული და საგლებო ბანკის საშუალებით აყიდვინონ. თუ საჭირო იქნება მე მგონი არც ერთი ქართული დაწესებულება არ დაიხარებს ცოტა თანხის გამოღებას. ჩემ კითხვაზე თუ რა გინდათ ქართველებს უცხოეთში, რატომ საგლებო ბანკის საშუალებით მიწას აქვე არ იყიდით მეთქი, მათ მიპასუხეს: ჩვენ რომ განათლებული ხელმძღვანელი გვყავდესო, უცხოეთში რა გვინდაო. მე მგონია, ამ სიტყვებმა უნდა შეარცხვინონ ჩვენი მოღვაწენი, რომელთა მოღვაწეობა

ზოლოდ წერასა და გაუთავებელ ლაყლაყში გამოინატვის.

მაღე, თორემ მართლაც იშხანიან ცუბის სამასხაროდ გავხდებით.

ეროვნული
ვინმე-ზოფლელი.

საჭირო ორგანიზაცია

თქვენ ხომ გესმით და ხედავთ რა ხდება ჩვენი მიწის საკითხის სფეროში. გუშინ სრულიად მოუზნადებლად დაფუხვდით მთავრობის ხიზანთა კანონპროექტს. რადგანაც ადგილობრივ სწორ სტატისტიკურ ცნობების მომკრეფი არავინ იყო და თუ დღეს ეს პროექტი კანონად იქცევა ეს ამის ბრალი იქნება და მაშინ ქართლში მცხოვრები ქართველობა არა ნაკლებ 30000 დესეტინა მიწას დაჰკარგავს და ამით უპირველესად ყოველისა საშინელ მდგომარეობაში ჩავარდება ქართველი გლეხობა. ამავე ქართლში სამხედრო უწყება ტირიფონაში 20000 დესეტინამდე სჭრის თავის მიზნებისათვის და ჰყრის მრავალ მცხოვრებთ სახლ-კარიანათ. ყველანი ვყვირით, ვტირით, მოვთქვამთ უბედურობაზე და მშველელი კი ჩვენში არავინ მოსჩანს. რატომ? იმიტომ, რომ ხელთ არა გვაქვს საჭირო ორგანიზაცია განსაკუთრებულ მუშაკებით, ხელმძღვანელებით, სალსარით, რომელთაც შეეძლებოდათ ამ საქმის ყველა მხრიდან გამოკვლევა, აწონ-დაწონა და მაშინ იქნება გამორკვეულიყო, რომ სამხედრო უწყება არც სამართლიანად და არც კანონიერად იქცევა ამ ფრიად მდიდარ სამეურნეო რაიონის მოგლეჯით უბრალო სამხედრო პოლიგონის მოსაწყობად. რა გასაკვირველია რომ ვისაც ჩვენში სურს დახმარება გაუწიოს ქართველებს, არავითარი სწორი ცნობები ხელთ არა აქვთ, ვერაფერს ხდებიან და ჩივიან: რა გიყოთ ხალხნო? მოგვაწოდეთ ნამდვილი ცნობები რამდენი მიწა გიჭირავთ, ვინა ხართ, რამდენი ხართ და სხვა და სხვა. ე. ი. სამართლიანად ვითხოვთ იმ ფაქტიურ მასალას, რომლის მიწოდება შეუძლიან მარტო მოწყობილ მუშაკთა ორგანიზაციას, ყოველ მხრივ გაცნობილ მიწათა საკითხში. ან და გაიხსენეთ დღევანდელი ახალი მეტად სამწუხარო ამბავი... ბორჩალოში მცხოვრები ქართველობა სტოვებს თავის სამშობლო კერას, მიწა-წყალს და საბერძნეთში მიდისო. რათა? შევეკითხეთ რამდენიმე სოფ. რეზიდან ჩამოსულ გლეხკაცს.—რის-


თვის მიღიხართ? განა არ იცით რა ღარიბ ქვეყანაში მიღიხართ? — რა ვიცით ბატონო — გვიპასუხეს გლეხებმა — მომვლელი, პატრონი, განათლებული ხელმძღვანელი რომ გვყოლოდა რას წავიდოდით? ო ეს პასუხი მეტად ახასიათებს ჩვენს უმოქმედობას. მაგრამ სად ვეძიოთ ამ უმოქმედობის მიზეზი? პასუხი ერთია: არ გვაქვს საჭირო ორგანიზაცია, რიგზე მოწყობილი, რომელიც შესძლებდა ხალხისათვის დროზე ცოდნა და ფული მიეშველებინა. ბორჩალოელ ქართველობას. მე აქ შევჩერდი მარტო ზოგიერთ უკანასკნელ მომხდარ ფაქტებზედ, რომელნიც სწორედ ამ საჭირო ორგანიზაციაზე გვითითებენ. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ამ ორგანიზაციის მომავალ მუშაობას აგრარულ სფეროში მისი საჭიროება უფრო მარტივად წარმოგვიდგება.

ეს ორგანიზაცია მოკლედ რომ ვსთქვათ შემდეგის მხრიდან მოუვლის ქართულ აგრარულ საკითხს: შუამავლობით, სესხის გაცემით, რჩევით და სხვა ამგვარ დახმარებით შეეცდება დაიცვას ჩვენი მიწის-მფლობელობა. მუდმივ შეაგროვებს სხვა და სხვა სტატისტიკურ მასალებს, თვალ-ყურს ადევნებს მთავრობის ახალ კანონ-პროექტების შედგენას, შეამზადებს ხოლმე მოხსენებებს, პროექტებს აგრარულ და ეკონომიურ დარგებიდან, რომ ამით შეძლება მისცეს ჩვენ ქართველ მოღვაწეთა მომქმედ წრეებს, მაშინდებული გამოვიდნენ მთავრობის კომისიებში, უწყებებში და საკანონმდებლო დაწესებულებებში.

მასთან შეძლების დაგვარად მოაწყობს საჭირო სამელიორაციო კრედიტს. მიაწოდებს სესხის სახით ქართულ კოოპერატიულ ამხანაგობათ საჭირო ფულს (როგორც რუსეთის საერობო კასები), ერთის სიტყვით დაეხმარება ყველა იმათ, ვინც ჩვენში მიწას უვლის, ამაგრებს, იცავს და ჰყიდულობს. ეხლა, სად უნდა მოეწყოს ეს ორგანიზაცია და რა სახით? ამ კითხვაზედ პასუხი გასცა ქართლ-კახეთის თავად-ანაზურობამ 1907 წელს საადგილ-მამულო კომისიის მოწყობით და მისთვის განსაკუთრებული ინსტრუქციის მიცემით. მაგრამ 1910 წლიდან დაწყებული, როდესაც გარშემო პირობანი მეტად შეიცვალნენ, როდესაც ცხოვრებამ მრავალი ახალი და რთული საკითხი წამოაყენა აგრარულ-საერობო სფეროდან, საადგილ-მამულო კომისიის მუშაობა ვიწრო აღმოჩნდა ორგანიზაციულმა მოუწყობლობამ იჩინა თავი და დაიბადა აზრი მისი გადაკეთებისა, მუშაობის გაფართოვებისა, სწორ და მკვიდრ ორგანიზაციის მოწყობისა — საერობო სეკ

რედიტო ფუნქციების აღსრულებით. ამ საკითხზე არა ერთი და ორი ჩვენი მოღვაწე მუშაობდა და ეს ორი წელიწადი მუდმივ უბრუნდებოდა მას. ამ საკითხის გამორკვევაში თითქმის ყველა მოღვაწეებმა ერთხმად აღიარეს, რომ ამნაირი ორგანიზაცია მეტად საჭიროა, რომ იგი უნდა დაარსდეს თავად-ანაზურობის სამეურნეო და საგანგებო თანხების დახმარებით და თბილისის სადეპუტატო საკრებულოს მფარველობის ქვეშ, რომელსაც, მარტოდ მარტოს მთელს იმპერიაში, უმაღლეს ბრძანებით ნება აქვს თავის სურვილისამებრ, ამ თანხებს, პატრონი და მომვლელი გამოუჩინოს. რაიმე საკუთარ ორგანიზაციის სახით მთავრობის დაუკითხავად და უკანტროლოდ. თვით წარსულმა მოუწყობელმა საადგილ-მამულო კომისიის მოქმედებამ კაი ნაყოფი გამოიღო; ამას 1907—1913 წლების ანგარიშები მოწმობენ და ეხლა ხომ, როდესაც იგი ჩამოყალიბდება მწყობრ ორგანიზაციად, როდესაც მას სპეციალისტები, ტექნიკოსები და სხვა მუშაკი ხალხი შეემატება, მისი ნამოქმედარიც უახლოეს მომავალში თვალსაჩინოდ გაიზრდება და მოულებს ბოლოს ჩვენს დაქინებულ წუწუნს, თავშიცემას და იმ უბედურ მოვლენებს, რომელნიც დღეს ჩვენ ცხოვრებას სთელავენ და იმედებს აქარწყლებენ. კეთილი მომავლისას. მაგალითი უცხოელთა ცხოვრებიდან წინა წერილში მოვიყვანე — „ლატიშთა მიწის გასაუმჯობესებელი ბიურო“, რომელიც სწორედ აგრარულ საკითხის მოსაგვარებლად იყო მოწყობილი და სამშობლოს შესანიშნავი სარგებლობა მოუტანა („კლდე“ № 13). საადგილ-მამულო კომისიის რეორგანიზაციას კაი ხანია შეუდგნენ და ეხლა მისი დაბოლოება ამ ზაფხულს მოხდება. მისი პროექტის საბოლოოდ განხილვა დეპუტატთა საკრებულომ მიანდო განსაკუთრებულ კომისიას, რომელშიაც შევიდნენ — ი. დ. აბხაზი, მ. ვ. მაჩაბელი, დ. ა. გურამიშვილი, ვ. ი. რცხილაძე, დ. ვ. ვაჩნაძე, რ. ა. გაბაშვილი და ს. ნ. ყაზახიშვილი. ამ კომისიამ განიხილა შარშან შემუშავებული პროექტი, შეიტანა მასში ზოგიერთი ცვლილებანი და ეხლა წარუდგინა განსახილველად დეპუტატთა საკრებულოს. იმედია ამ პროექტს დეპუტატთა საკრებულო უცვლელად მიიღებს. ქვევით ვბეჭდავთ ამ კომისიის მიერ წარდგენილ პროექტს.

დ. კახელი.



დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის სასოფლო-სამეურნეო და საგანგებო **თანხების**
თაობაზე.



- § 1. სასოფლო-სამეურნეო და საგანგებო თანხები გადადებულია იმ საქმისა და მიზნისათვის, რომელიც დავალებული აქვს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულთა კომისიას (იხ. თავად-აზნაურობის, 1909 წ. 21 მარტისა, 1909 წ. 4 თებთვისა და 1907 წ. 5 თებთვის საგანგებო კრებების დადგენილებანი).
- § 2. საადგილ-მამულთა კომისიას მიზნად აქვს:
 - ა) ხელი შეუწეოს მეურნეობის მოწეობასა და გაუმჯობესებაში თბილისის გუბერნიის მიწისმფლობელთა და მიწისმხვნიელთა მოსახლეობას: სოფლის საზოგადოებებს, სოფლებს, ფერმებს, ამხანაგობებს და კერძო ზირებსა.
 - ბ) დაეხმაროს სამელიორაციო და სხვა სახის სესხის შოვნაში.
 - გ) გამოუძიებოს მიწისმფლობელთა და მიწისმხვნიელთა — საზოგადოებებს და კერძო ზირებს, თბილისის გუბერნიაში დასახლებისათვის და სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის გამოსადეგი მიწები და შეადინოს კანონიერი წესებით.
 - დ) უშუაშდგომლოს შესაკუთრებთან მიწის უიღვის დროს იმ ჯურის შეიღველებს, რომლებიც ნახსენები არიან „გ“ მუხლში.
 - ე) ხელი შეუწეოს ამ შეიღველებს მიწის შეძენაში საკლებო ბანკის და სხვა ამგვარი ბანკების საშუალებით.
 - ვ) გამოიკვლიოს და ამოარჩიოს ის მიწები, რომელიც უნდა შეიძინოს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ თბილისის გუბერნიის უმაჟულო და მცირე მამულაინი მკვიდრი მცხოვრებლების უზრუნველსაყოფად.
 - ზ) მოაწეოს ადგილობრივ ქვედა კომისიები და ზევით დასახლებულ მიზნის სისრულეში მოსაყვანად დანიშნოს ინსტრუქტორები.
- § 3. ზევით ნახსენებ თანხებიდან საადგილ-მამულთა კომისიას იძლევა სესხსა, რომელიც უნდა უთუოდ მე-2 მარტრათში დასახლებულ მიზანს მოხმარდეს.

შენიშვნა. საადგილ-მამულთა კომისიას შეუძლიან მისცეს სესხი კერძო ზირებს 3,000 მანეთამდე, საზოგადოებებს, ამხანაგობებს და სხვა ორგანიზაციებს კიდევ 10,000 მანეთამდე. ამასვე დიდი სესხის გაცემა შეიძლება მხოლოდ თავად-აზნაურობის წინამძღოლთა და დებუტატთა კრების დადასტურებით.
- § 4. სასოფლო-სამეურნეო თანხიდან გადადებული უფველი სესხი უთუოდ დაბრუნებულ უნდა იქმნეს.
- § 5. საადგილ-მამულთა კომისიას საგანგებო თანხას იმ მიზნებისათვის ხარჯავს, რომელიც ამ დებულებას აქვს დასახული, ამასთანავე ამავე თანხიდან შეიძლება მიეცეს სესხი ან ხელი გაუმართოს იმ დაწესებულებებს და ზირებს, რომლებიც იმავე მიზნებს და იმავე საქმეს ემსახურებიან, რასაც საადგილ-მამულთა კომისიაც ემსახურება. ამავე თანხიდან იხარჯება ფული საადგილ-მამულთა კომისიის განცუადრის შტატზე და ეძლევათ ჯილდო საადგილ-მამულთა კომისიის წევრებს.
- § 6. ნებადართულ სესხის ანგარიშში ფული საჭიროების დაკავალად ეძლევათ.
- § 7. თუ მსესხელი ფულს დანიშნულებისამებრ არა ხარჯავს, საადგილ-მამულთა კომისიას უნდა სესხის ძლევისა და დაუბრუნებელიც აბრუნებინებს უკვე წადებულ ფულსა.
- § 8. სესხი სოფლო-ვექსილით ეძლევათ მსესხელებს. საჭიროთა აგრეთვე:
 - ა) საიმედო ზირების თავდებობა.
 - ბ) გირად უძრავი ქონება, რომელზედაც მსესხელს სრული საკუთრების უფლება აქვს პირველი და შემდეგი გირავნობის ხელწერილის ძალით.
 - გ) გირად ინვენტარი, რომელიც სესხით არის შეძენილი, და საზოგადოთ ის მოძრავი ქონება, რომელიც მამულში არის.

საადგილ-მამულო კომისია უოველ კერძო შემთხვევაში აღკენს, თავდებობას საჭირო სესხის უზრუნველ-საყოფად თუ რომელიმე ჭურის გირაო.

შენიშვნა: კერძო შირებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც კანონით ვექსილეებით ფულს გაცანის უფლება არა აქვთ, სასესხო ხელშეკრულებას ართმევენ.

§ 9. ვექსილეები და ხელშეკრულებანი თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის სახელზე იწვევებათ
§ 10. სესხი არის:

ა) შოკლე ვადიანი (რომელიც თორმეტ თვეზე უნდა გადახდილ იქმნეს).

ბ) გრძელვადიანი (რომელიც უნდა გადახდილ იქნეს ათ წელიწადში).

ამასთანავე ვადის თანდათანობის გადახდის გეგმას და ვადის საადგილ-მამულო კომისია იძლევა.

§ 11. გირათი უზრუნველყოფილ სესხში მსესხელები პასუხს აკებენ, როგორც დაგირავებულით აგრეთვე სხვა თავისი ქონებით.

§ 12. დაგირავებულ ქონების გაუადვა შეიდეგლზე ვადის გადატანით შეიძლება მხოლოდ საადგილ-მამულო კომისიის თანხმობით. ამასთანავე უნდა დარულ იქნეს ამ დებულების უოველი წესები სესხის გაცემის თაობაზე.

§ 13. საპატო შემთხვევების გამო (მაგალითად თუ ცუცხლი გაუხნდა მესხელის ქონებას, ან თუ ოჯახის უფროსი გარდაიცვალა ან კიდევ თუ დიდი მოუსაველობა და სხვა ამისთანა იყო რამ) კომისიის შეუძლიან, თუ საჭიროდ დაინახა, აღროვოს მოკლევადიანი სესხის გადახდა, ასე ექვსი თვით, მეტით არა, იმ შირობით, რომ ვალი ამ ხნის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ იქმნეს შეტანილი. ამავე ხნით შეიძლება ედროვოს და ნაწილ ნაწილ გადახდილ იქმნას გრძელვადიანი სესხიც.

§ 14. მსესხელს ვადაზე ადრევე შეუძლიან დაბრუნოს ვალი ან მოლიანად ან ნაწილ-ნაწილ. ამასთანავე რამდენი ხნითაც ადრე იქნება შემოტანილი ვალი, იმდენი ხნის წინდაწინვე აღებული სარგებელი დაუბრუნდება მსურველთ.

§ 15. პროცენტის როდენობას საზღვრავს საადგილ-მამულო კომისია ვადისა და სესხის როდენობის კვალობაზე (სარგებელი წლიურად 6% არ უნდა აღემატებოდეს).

§ 16. მოკლევადიან სესხის სარგებელს ამ თავითვე ახდევიებენ, რაც ფულს აძლევენ ან სესხის ვადის უბრძელეებენ (სარგებელს მთლად იმ ხნისას იღებენ, რა ხნითაც გააქვთ სესხი). გრძელვადიან სესხის სარგებელს კიდევ იმ გეგმის თანახმად იხდიან, რა გეგმასაც საადგილ-მამულო კომისია შეიმუშავებს (იხ. § 10 დ. ბ.).

§ 17. თუ ვადაზე არ იქნება გადახდილი ან მთელი სესხი ან მისი ნაწილი, მაშინ საადგილ-მამულო კომისია დაუოონებლივ იწუებს გაცემულის დაბრუნების საქმეს და კანონიერი წესით ან თვით მსესხელს ან თავდებს ახდევიებს მთელ ვადის თავის სარგებლიანთ და ხარჯსა, რომელიც მოუვა გაცემულის დაბრუნებაში.

§ 18. ფული შემოდის თავად-აზნაურთა წინამძღოლების და დეპუტატთა კასაში და ვადის ამავე კასიდან. თავად-აზნაურობის წინამძღოლებისა და დეპუტატთა კასავე მოვალეა მიიღოს, შეინახოს და უკანვე დაბრუნოს საადგილ-მამულო კომისიის ფულის თამასუქები და ფასიანი ქადალდები.

§ 19. სესხის ვადების, გირაობის მიღებისა და შენახვის წესებს, ვადაკასული სესხის დაბრუნების წესებს, დაგირავებულ ქონების საფასურის დაკვალად სესხის პროცენტების განსაზღვრის წესებს, შეამავლობის საბჭურაციო წესებს, მსესხელების შირაინობის გამორკვევის საშუალებებს და მსესხელების მიერ დაწვებულ საქმის შემოსავლიანობის გამორკვევის წესებს, მსესხელზე კანტროლის დაჭერის საშუალებებს და თვადურის ჭერის წესებს (საჭიროა თვადურის დევნა, რომ მსესხელმა სესხის დახარჯვის შირობები რიგზე შეასრულოს) ჭმარტავს განსაკუთრებული ინსტრუქციებო, რომელსაც ამუშავებს საადგილ-მამულო კომისია და ამტკიცებს თავად-აზნაურობის წინამძღოლებისა და დეპუტატთა კრება.

§ 20. სასოფლო-სამეურნეო და საკანგებო თანხების გამგებლობა, სესხის დანიშვნა და გაცემა, სესხის სწორი გზის მიცემა და სესხის დაბრუნება კვალება:

- ა) საადგილ მამულო კომისიას.
- ბ) თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლებისა და დეპუტატთა კრებას.
- გ) თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებას.

§ 21. სასოფლო-სამეურნეო და თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საკანგებო თანხების გამგებლობა ამ დე-

ბულებსა, ინსტრუქციასა და თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრების დადგენილების ძალით არის საადგილ-მამულო კომისიის ხელში.

§ 22. საადგილ-მამულო კომისია შესდგება 5 წევრისაგან და მათი სამი კანდიდატისაგან, რომელსაც საგუბერნიო კრება ირჩევს სამი წლის ვადით იმ პირობით, რომელიც ესმით საკრედიტო და სასოფლო-სამეურნეო საქმე და გაეგებათ თბილისის გუბერნიის ეკონომიური მდგომარეობა.

§ 23. საადგილ-მამულო კომისია თავის შორის ირჩევს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის ამხანაგს.

§ 24. საადგილ-მამულო კომისიის დადგენილებას მაშინ აქვს ძალა, როცა სხდომაში მონაწილეობას იღებენ თავმჯდომარე ან მისი ამხანაგი და საადგილ-მამულო კომისიის ორი წევრი მაინც.

§ 25. ყველა საკითხები უბრალო უმეტესობითაა წედება. ხმების თანასწორად გაყოფის დროს თავმჯდომარის ხმას უპირატესობა ეძლევა.

§ 26. თუ საადგილ-მამულო კომისიის რომელიმე წევრი ავად არის ან თბილისში არ არის, მაშინ სხდომაზე კანდიდატს იწვევენ კომისიის წევრის სრული უფლებით.

შენიშვნა: კანდიდატების უმცროს-უფროსობა ისაზღვრება არჩევნების დროს მიღებულ ხმების უმეტესობით.

§ 27. საადგილ-მამულო კომისიის სხდომაში მონაწილეობას იღებს საადგილ-მამულო კომისიის მდივანიც რეგულიარული ხით.

§ 28. კომისიის განახლებები იწერება ოქმებში, რომელსაც ხელს აწერენ თავმჯდომარე და სხდომის მონაწილე წევრები და იმართება კომისიის მდივნის ხელის მოწერით. თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერილი ას-ლები ოქმებისა უნდა წარედგინოს წინამძღოლთა და დეპუტატების კრებას.

§ 29. საადგილ-მამულო კომისიის დადგენილებები შედის ძალაში ორი კვირის უკან, თუ ამ ხნის განმავლობაში საწინააღმდეგო ხასიუსი არ გასცა ან თავად-აზნაურობის გუბერნიის წინამძღოლმა ან კიდევ თავად-აზნაურობის წინამძღოლთა და დეპუტატების კრებამ.

შენიშვნა: თავად-აზნაურობის საგუბერნიო წინამძღოლის ან თავად-აზნაურთა წინამძღოლებისა და დეპუტატების კრების მხრივ საწინააღმდეგო ხასიუსს მაშინ გამოაწვევს საადგილ მამულო კომისიის დადგენილება, როდესაც კომისია დაარდვეს ამ დებულებას, დამტკიცებულ ინსტრუქციებსა და საგუბერნიო კრების დადგენილებას.

§ 30. საადგილ-მამულო კომისიის წევრებს სხდომების რაოდენობის დაკავალად თვითიველ სხდომაში თავად-აზნაურობის საგუბერნიო კრების მიერ განწესებული ჯილდო ეძლევათ.

§ 31. საადგილ-მამულო კომისიის ფუნქციებად ითვლება:

1) სესხების განსაზღვრა და გაცემა და ყველა ოპერაციების წარმოება თანახმად ამ დებულებისა, და იმ დამტკიცებულ ინსტრუქციებისა, რომელიც დასახელებულია მე-20 პარაგრაფში, და თანახმად თავად-აზნაურობის საგუბერნიო კრების დადგენილებისა.

2) ყოველხარის გადასახადების მიღება და თავად-აზნაურთა კრების მიერ დამტკიცებულ ხარჯთა-დრიცხვის დაკავალად ხარჯების გადაება.

3) წარმოება წიგნებისა, ანგარიშებისა და საქმისა იმ ფორმების დაკავალად, რომელიც მე-20 პარაგრაფში დასახელებული განსაკუთრებული ინსტრუქციით არის დამტკიცებული.

4) შედგენა ყოველ წლიური დაწერილებითი ანგარიშებისა საადგილ-მამულო კომისიის ყველა ოპერაციის თაობაზე და ნახევარ წლიურ ცნობებისა საადგილ-მამულო კომისიის ფულის ანგარიშების მდგომარეობის თაობაზე.

5) წლიური ხარჯთა-დრიცხვისა და სამუშაო გეგმის შედგენა მომავალი წლისათვის.

6) საადგილ-მამულო კომისიის კანცელარიის ორგანიზაცია, მდივნისა და მომსახურეთა საჭირო შტატის მოწვევა.

- 7) საადგილ-მამულთა კომისიის მომსახურება დათხოვნა.
- 8) კომისიის საქმეების წარმოება სასამართლოში.
- 9) მსესხელებზე სისტემატური კანტროლის დანიშვნა და თვალის დაკვირვა (კომისიამ თვალყურს უნდა ადევნოს, რომ მსესხელმა აღებული სესხი განსაკუთრებულად დამტკიცებულ ინსტრუქციის (§ 20) დავა-ლად დახარჯოს).


 უნდა
 დაეკავ-
 ხებოდეს
 შიშვენიძე

§ 32. თავად-ახნაურთა წინამძღოლების და დეპუტატების კრების ფუნქციები:

- 1) კრებამ თვალყური უნდა დაიჭიროს, რომ საადგილ-მამულთა კომისიამ რაგზე შესრულოს ეს დებუ-ლება, ინსტრუქცია-დადგენილებანი თავად-ახნაურთა კრებისა.
- 2) უნდა დაამტკიცოს მე-20 პარაგრაფში დასახელებული ინსტრუქციები.
- 3) უნდა განიხილოს და შეამოწმოს: ნახევარ წლიური ცნობები ფულის ანგარიშების თაობაზე, წლიური ანგარიში და საადგილ-მამულთა კომისიის ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ წლისათვის და წარუდგინოს თავის დას-კვნებთან ერთად თავად-ახნაურთა საგუბერნიო კრებას.
- 4) უნდა განიხილოს და დაამტკიცოს საადგილ-მამულთა კომისიის მომავალი წლის სამუშაო გეგმა.
- 5) უნდა გაუკეთოს წლიური და მო-ულოდნელი რევიზია საადგილ-მამულთა კომისიის წევრებს, საქმი-წარმოებას და ფულის ანგარიშებს.
- 6) უნდა განიხილოს საჩივარი საადგილ-მამულთა კომისიაზე.
- 7) უნდა ხეობართვა მისცეს იმ სესხისა, რომელიც აღნიშნულია მე-3 პარაგრაფის შენიშვნაში.

§ 33. თავად-ახნაურთა საგუბერნიო კრების განკარგულებაშია

- 1) საადგილ-მამულთა კომისიის წევრებისა და მათი კანდიდატების არჩევნები ფარული კერძის ურთ.
- 2) განხილვა და დამტკიცება კომისიის უაგელ წლიური ანგარიშებისა და მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვისა.
- 3) საადგილ-მამულთა კომისიის უგელა ოპერაციების და საქმის რევიზია.
- 4) განხილვა და გადაწყვეტა ავად თუ კარგად თავად-ახნაურთა წინამძღოლებისა და დეპუტატების კრების თაობაზე და საადგილ-მამულთა კომისიაზე წარუდგენილ საჩივრისა.
- 5) საადგილ-მამულთა კომისიის წევრების სამართალში მიტემა უკანონო მოქმედებისათვის.

§ 34. საგუბერნიო კრება ავსებს და სცვლის ამ დებულებას.

ეს პროექტი უკვე ნათელ ჰყოფს მკითხველისათვის მომავალ ორგანიზაციის მოქმედების ხასიათს და ვგონებთ დააკმაყოფილებს იმ საჭირობორტო მოთხოვნილებათ, რომელნიც ცხოვრებამ დღეს წარუ-ყენა ქართველ მომქმედ წრეებს აგრარულ სფეროში.

შემდეგ ნომერში შეეჩერდები ამგვარივე ორგანიზაციის მოწყობაზედ დასავლეთ საქართველოში.

დ. კახელი.

შ რ ე ს ა

ამ ჟამად კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი სა-კითხი ებადება ჩვენს საზოგადოებას და საზღვდელო-ებას, რომელსაც გადაჭრილი და მრავალ გზის აწონ-დაწონილი პასუხი უნდა გასცენ. საკითხი ებება რუ-სეთის საეკლესიო კრებას დაესწრონ თუ არა ქართ-ველი სამღვდელთა წარმომადგენელი. გაზეთ „იმერეთში“ დაიბეჭდა ამის შესახებ ერთი პატარა შენიშვნა. ბ. ი. ისა, სადაც ავტორი საჭიროდა

სთვლის დასწრებას. „საბ. გაზეთი“ კი შენიშნავს: ...„ასეთი წინადადება ჩვენ დიდ შეტდომად მა-გვანია. რუსეთის ეკლესიას თავისთავად (?) არა-ვითარი კანონიური უფლება არა აქვს ან აღადგინოს ან გააუქმოს საქართველოს ეკლესია (თუ ეკლესიის დამოუკიდებლობა?) ხალო ჩვენი სამღვდელთა წარმომადგენლების დასწრებას ის მნიშვნელობა ექ-ნება, რომ ამით შეძლება მიუტემა რუსეთის სამღვ-

დელოებს იურიდიულად, კანონიერად დადასტურებს ხვენი ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსახება და მისი ადგილი უფრო გაძივებული იქნება შემდეგ“...

ის მართალია, რომ არც ერთს ადგილობრივს ეკლესიას მართო არა აქვს კანონიერი უფლება მეორე ეკლესიის ბედი გადასწყვიტოს, არამედ ეს საკითხი ექვემდებარება მსოფლიო პატრიარქთა კრებას, ხოლო რაც შეეხება ჩვენი სამღვდელთა დასწრებას, ჩვენ ვერ დავეთანხმებით „სახ. გაზ.“ მოსახრებას. სულ ერთია დაესწრებიან თუ არა ჩვენი წარმომადგენლები კრებას, რუსეთის ეკლესიას მაინც არ შეუძლიან (საეკლესიო კანონების მიხედვით) ქართულ ეკლესიას თავისუფლება მოუსპოს. მეორე მხრით კიდევ, ჩვენი წარმომადგენლების დასწრება სრულიად არა ნიშნავს იმას, ვითომ ისინი უსათუოდ უნდა დაექვემდებარონ რუსეთის ეკლესიის გადაწყვეტილებას, რაკი დაესწრებიან! მათ დასწრებას ის მნიშვნელობა ექნება, რომ ერთხელ კიდევ დაუმტკიცებენ რუსეთის საზოგადოებას და მთელს ქვეყნიერებას, თუ რა უსამართლობა და რა უკანონობა მოხდა, როდესაც ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა შეაჩერეს. იქ აღიძვრება საგულისხმეო კამათი და ერთხელ კიდევ გამოაშკარავდება, თუ როგორა სურს რუსეთის „მებრძოლ სამღვდელთებს და არქიელებს“ ეს ისტორიული შეცდომა და უკანონობა განამტკიცონ.

დასწრება თუ დაუსწრებლობა ტაქტიკის საკითხია და ჩვენი აზრით უფრო დიდი მნიშვნელობა იმ პროტესტს ექნება, რომელსაც წარმომადგენლები იქვე განაცხადებენ და კრებასაც დემონსტრაციულად დასტოვებენ, ვიდრე იმას, რომ ჩვენ აქ მუშტები ჯიბეში მოუღიროთ. განა დაუფასებელი მნიშვნელობა არა ჰქონდა, უკვე მომხდარ, ამ რამდენიმე წლის წინ, წინასწარ კრებაზე ჩვენი ეკლესიის წარმომადგენლების მოქმედებას, მათ განცხადებას, რომ რუსეთის ეკლესიას ნება არა აქვს არც წართვას და არც უბოძოს ქართულ ეკლესიას დამოუკიდებლობა! ისინი რომ არ ყოფილიყვნენ საკითხს ასეთ მიმართულებას არ მისცემდნენ და ბოძებაზე თუ წართმევაზე იქნებოდა ლაპარაკი. ჩვენი აზრით, ჩვენმა სამღვდელთებამ უნდა უსათუოდ ითათბიროს ამის შესახებ და მტკიცე დირექტივებით გაგზავნოს მტკიცე და მედგარი მოამაგე ქართული ეკლესიისა იმ კრებაზე. ვინ იცის, ეგებ ისევ განმეორდეს ისეთი დემონსტრაცია, როგორიც არა ერთხელ მომხდარა მსოფლიო კრებებზე და ორი თანამოდმე ეკ-

ლესია გათიშულა. ვიმეორებთ, არა გვგონია რუსეთის ეკლესიამ ქართული ეკლესია სხიზმამდე მიიყვანოს.



სომხური მეცნიერება

(გაგრძელება)

მაშასადამე, ბ-ნ იშხანიანის რწმენით (?) ქართველებმა უნდა მოსპონ ყოველივე ბრძოლა სომხურ „პროგრესიულ“ კაპიტალის წინააღმდეგ და გაითქვიფნენ რუსეთის სახელმწიფოში, რადგან არ არსებობს საქართველო, სომხეთი, პოლონეთი ან სხვა, არამედ ყველანი თანასწორი და თანასწორ უფლებიანი მოქალაქენი არიან რუსეთის სახელმწიფოსი. ეს ერები, მართო გეოგრაფიულ მცნებას წარმოადგენენ და სხვა არაფერი.

აქედან ის გამომდინარეობს, რომ თავისუფალ ეკონომიურ კონკურენციაში იმარჯვებს უფრო ძლიერი და ქართველთა აურზაური და უკმაყოფილება მეცნიერულ ნიადაგს არის მოკლებული, — „თქვენში ლაპარაკობს, — დასძენს იგი, — არაფხიზელი რეალისტი, არაქვეიანი ლოლიკა, თქვენი პირით ლაპარაკობს მეშხანული მორალისტი უვარგისი სენტენციებით“ — აი ეს სამართლიანი საყვედური და ლანძღვა კი ქართული აყალ-მაყალის მოსიყვარულეთა წინააღმდეგ — ყოფილა მეცნიერული. აქ სომხური შოვინიზმი არაფერშია, მაგრამ როცა ქართული პრესა სწერს, რომ „ქართველ თავადაზნაურობის მემკვიდრედ (მიწის მფლობელობაში) ისევ ქართველები უნდა იყვნენ“ — ეს საშინელი, დახავსებული, უტიფრო შოვინიზმია თურმე. იქამდის უტიფრო, რომ ბ-ნ იშხანიანს დავთრებთან ერთად სინილისიც დაჰკარგვია და 44-ე გვერდზე თავისი გარეცხილი წიგნისა აი რასა სწერს: „Публично, безъ лишнихъ комментарій (?), леишь-органъ разорившагося дворянства явно требуетъ, чтобы грузинскій народъ „отложилъ“, иначе говоря пожертвовалъ бы своими общественно культурными учреждениями, и капиталы предзначенные для ихъ нуждъ, всыпалъ въ карманы крупныхъ землевладельцевъ, дабы послѣдніе не продали свои помѣстья капиталистамъ другихъ національностей, а оставили въ наслѣдство своимъ сыновьямъ“.

მკითხველი რომ ჩაუკვირდეს ამ გრძელ ამო-

ნაწერს, დაინახავს თუ სადამდის შეიძლება მივიდეს ადამიანის თავზე ხელ-აღება. ეს ამონაწერიც „მეცნიერული ობიექტივიზმით“ არის გაქდენთილი, როგორც წიგნის თავში გვპირდებოდა ბ-ნი იშხანიანი. თურმე ქართული პრესა ერთხმად თხოულობს **მსხვერპლს** მთელი ერისაგან გაკოტრებულ თავდაზნაურობის ჯიბის გასაღებად და მათი შეიღების სადღეგრძელოდ. ბ-ნი იშხანიანი აქაც ყალბ ფულსავით აპარებს თავის ჭორს მკითხველს, როგორც ქლესა სომეხი ვაჭარი - „ტუტუც ვრაციეს“ და თუ ქართული პრესა მოითხოვს ქართული მიწათმფლობელობის გადასვლას ისევ ქართველთა ხელში, და ნათლად, გარკვევით სწერს, რომ ეს შემკვიდრე უნდა იყვეს მიწის მუშა და მისი მოყვარული—**გლეხი**, იშხანიანი ყალბ ცნობას აძლევს მკითხველს, ხალხისათვის კი არა, **თავდაზნაურობის შეიღებისათვისაო**. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ იშხანიანი სწორედ ამ **ნამდვილ და სწორ მოსაზრებას** აუღელვებია, ამაზედ ასტკივნია ქალა, თორემ განა ასეთის რიხით დაიწყებდა ბრძოლას იმის წინააღმდეგ, რაც წინდაწინვე სასიკვდილოდ არის განწირული? ან რა მსხვერპლზედ, რომელი **ხალხის მსხვერპლზედ** მოგვითხრობს ბ-ნი იშხანიანი! განა რამდენიმე ფურცლის ზემოდ თვითონ არ მოგვითხრობდა, რომ ქართველ ხალხს არაფერი არა აქვსო, იგი მარტო პასიური მასა არის, უორგანიზაციო, უსახსრო და საწყალი? და თუ სწერს ქართული პრესა, სწორედ თავდაზნაურობისაგან მოითხოვს მსხვერპლს, სწორედ მისი საზოგადოებრივ კულტურულ დაწესებულებათა შეფერხებას იმ გლეხთა უმრავლესობის სასარგებლოდ, რომელსაც გაუმადლარი მტერი მის ერთადერთ საფუძველს მიწას აკლის. ეს თუ არ იცის იშხანიანმა თავისით, იმდენი მოქალაქობრივი სიმაძაცე უნდა ჰქონდეს, რომ ამო სწეროს ხოლმე მაინც, როგორც უბრალო რიგიანობა მოითხოვს. ან საიდგან შეითვისა ბ-მა მეცნიერმა ის აზრი, რომ მთელი ქართული პრესა თავდაზნაურობის იდეოლოგიით არის გაქდენთილი, როცა სწორედ ეს აკლიათ და ერთმანეთს ჩვენი ორგანოები ამ სიტყვებით მარტო ლანძღვენ და ლაფში სვრიან. თუ ეს სოციალდემოკრატიისაგან შეითვისა—არ შეჰფერის მჭამელ ბურჟუაზიის იდეოლოგს ქამადი პროლეტარიატის დამოწმება: ამ კავშირის იდეურობას ვერავინ დაიჯერებს, როგორც ვერავინ დაიჯერა, რომ სოლოლაკელები და სოციალდემოკრატები **სოციალური ნიადაგზე** შეთანხმდნენ დებუტატთა არჩევნების

დროს. ყველამ კარგად იცოდა და იცის, რომ სომხის ბურჟუაზია ემხრობოდა ქართველ პროლეტარიატის წარმომადგენელთ — **ეროვნულ** თვითშეგნების საწინააღმდეგოდ. დღესაც იშხანიანები ამ გზას ადგიან, მაგრამ უხუნდებათ **სარჩულეობის** საპირეთი კი თვალს ვეღარავის აუბამენ.

რომ უფრო ნათლად წარმოუდგინოს მკითხველს სიკეთე სომხის ბურჟუაზიისა საქართველოსათვის, ბ-ნი იშხანიანს ყოველთვის ანალოგიები მოჰყავს ევროპის მაგალითებიდან: მაგ. (გვ. 45 - 46) ამბობს, რომ ლიბერალური ბურჟუაზია ის კლასია, რომლის ბრძოლას კონსერვატიულ მიმართულებასთან სიკეთე მოაქვს **ეროვნულ საზოგადოებისათვის**; ასეთია ბურჟუაზია ინგლისში, რესპუბლიკელები საფრანგეთში, რომელნიც (უკანასკნელნი) ებრძვიან კონსერვატორებს, რომლისტებს და... **კლერიკალებს**. მაგრამ არსებობს ისეთი კლასიც, რომლის თვით არსებობაც კი წარმოადგენს უარყოფას ახალის წესწყობილებისას, — ასეთია გერმანიის იუნკრობა (მსხვილი შემამულე თავდაზნაურობა).

და თუ ჩვენში გადმოვალთ, — იუნკრობის ფსიხოლოგიით გაქდენთილია ქართველი თავდაზნაურობა და ლიბერალური სულით **სომხური ბურჟუაზიაო**. საწყალი იშხანიანი არამც თუ არ ამჩნევს (?) მდიდარი იუნკრობისა და ჩვენი საწყალობელი თავდაზნაურობის განსხვავებას (თუმცა, როცა სჭირია, როგორც წინა წერილში მოგახსენეთ— პროლეტარების რიგშიც კი აყენებს) ერთის მხრით და საფრანგეთის რესპუბლიკელებსა და სომხის ჩარჩ-მოვახშეებს შორის, მეორეს მხრით, — იგი ივიწყებს (?) იმ უბრალო ამბავსაც, რომ გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში და სხვაგანაც ყველგან ბრძოლა **ერთი და იმავე** ერის ფარგლებშია ლიბერალურ ბურჟუაზიისა და კონსერვატორების შუა; მაშინ როდესაც ჩვენში ბრძოლაა **სხვა და სხვა** ეროვნების ელემენტებისა.

ჩვენ აღარ შევჩერდებით იმაზედ, რომ ქართველი თავდაზნაურობა, ინტელიგენციის, პრესის და უმთავრესად პოლიტიკურ-სოციალურ პირობათა ზეგავლენით, **იძულებულია** უფრო ლიბერალური იყვეს, ვიდრე სომხის ბურჟუაზია, თუ არსებობს ასეთი. არ შევჩერდებით იმიტომ, რომ ვისაც ყურის მოყრუება უნდა, სხვის კაკლის ჩხრიალზედ უკეთესად, თავისი ბაშბის ჩხრიალს გაიგონებს, მაგრამ, არ შეგვიძლიან არ შევჩერდეთ ერთ მოვლენაზედ, რომელიც არ უნდა დავიწყებოდა იშხანი-

ანს, რაკი ამაზედ თვითონა სწერდა და ჩვენც ხაზი გაუსვით წარსულ წერილში; სომხის ბურჟუაზია შეერთებულად მოქმედობს სომხურ სამღვდლოებასთან და როცა საფრანგეთის რესპუბლიკელებს აღარებს სომხის კარაპეტ ისაჩებს, უნდა ანალოგია ბოლომდის გამოიყვანოს. თორემ რესპუბლიკელების ლიბერალიზმი შეუღარო სომხის ბურჟუაზიის არ არსებულ ლიბერალიზმს და ამავე დროს მიჩქმალა მათი არსებული განსხვავება — უკიდურეს კონსერვატულ ელემენტებთან დამოკიდებულება, ეს უბრალო თაღლითობაა, ისევ ყალბი ფულის შეპარებაა, რომელიც არ შეჭფერის... მეცნიერებს. სომხურ სამღვდლოებასთან შეერთებული სომხური ბურჟუაზია არ არის ის პროგრესიული ელემენტი, ბ-ნო იშხანიან, რომლის წინაშე (როგორც რესპუბლიკელების წინაშე საფრანგეთში) თავისი კონსერვატული ქედი უნდა მოიდრიკოს ქართველთა თავად-აზნაურობამ, და რადინებებთ ასეთს სიყალბეს?

ქართველმა ერმა კარგად იცის, რომ თავდაზნაურობა ველარ ითამაშებს ისტორიულ როლს მოწინავე კლასისას და მის ნანგრევებზე აშენებს ახალ დემოკრატიულ ძალებს ეკონომიკასა და ცხოვრებაში, თვითონ იკვლევს მედგრად პროგრესის გზასა და როდესაც თქვენ გამოდინხართ და რისიანად ბრძანებთ:

„На насъ (на комъ это?) лежитъ обязанность доказать... что съ падениемъ дворянства, грузинская нація не только не понесетъ никакого ущербъ, но и цробрететъ большую выгоду“ ჩვენ ორი მოსაზრება გვებადება: „нельзя ли для этикихъ („научныхъ“) прогулокъ, по-дальше выбрать закоулокъ“, ე. ი. სომხეთისათვის იხელმძღვანელოთ ამისთანა მეცნიერებით და იქ ებრძოლოთ კონსერვატულ ელემენტებს და მეორეც: ნუ თუ ვერა ხედავთ მართლაც რომ ამას თავისი ნებით უკვე ჩადის ქართველობა, თავისი ერის საკეთილდღეოდ... მაშინ როდესაც თქვენი კულის წვა იმაშია, რომ ეს ჩაიდინოს სომხის ერისათვის.

თვალთ ბრმა — ჭკუით ხედავსო, ამბობენ და თქვენ გინდათ ვითომ უკანასკნელიც დაიბრძავოთ, რომ ცხადზედ უცხადეს მოვლენაზედ თვალეებსა ბუკავთ?

(დასასრული იქნება). * *

ტირიფონას კარძეძე

მკვდრებს ეთხოვებიან... ეკონომიკური ამბები ხდება ტირიფონაში მცხოვრებ სოფლელ ხალხის შორის.

სამხედრო უწყებისათვის მსხვერპლად შეწირული ტირიფონას მრავალმა სოფელმა, 20,000 კაცით, რომელთაც აყრა და განადგურება მოელოთ, მთელი აღდგომა გლოვაში, და ტირილში გაატარა. ტირის და ჰგლოვობს მოხუცი, ახალგაზრდა, ქალი, ბავშვი. ამ რამოდენიმე დღის წინად, როგორც ვგაცნობა ერთმა პირმა, რომელმაც ფეხით დაიარა ტირიფონას ველი, სოფლელი ხალხი გაემართა თავის მამა-პაპათა სასაფლაოებისაკენ თავის მკვდრებთან გამოსათხოვებლად. „საშინელი სურათი გეშლებოდათ თქვენ თვალ წინ, გვიამბობდა დამსწრე. სამარეებთან დაჩოქილი ხალხი, ტირილით, და გოდებით თავის ძვირუას ნაშთებს მოსთქვამდნენ, საშინელ უბედურობას და ეთხოვებოდნენ მათ. მეც ველარ გაუძელი ამ საშინელ სანახავს და ტირილით საჩქაროდ განვშორდი ამ გლოვისა და მწუხარების ალაგსა“-ო.

სამხედრო კომისიამ საბოლოოდ გადასწყვიტა ტირიფონის შეძენა და ებლა სოფელ-სოფელ დაიარება და აფასებს სახლ-კარს, მამულებს.

პოლიგონის საზღვარი გადატანილია ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ და ქ. გორს მიუახლოვდა, რადგანაც სამხრეთი კუთხე მანთაშევს შეძენილი აქვს და მისი გამოსყიდვა მეტად ძვირად უჯდება სამხედრო უწყებას.

20,000 კაცის გადასახლება. ტირიფონის გლეხობას ჯერ დანამდვილებით არ ეუბნებიან სად უპირობს მთავრობა მათ გადასახლებას. სხვა და სხვა ბმები დადის გლეხებში. ამას წინად კახეთზედ უთითებდნენ, მაგრამ დღეს სულ სხვა ალაგებზე უჩვენებენ — ყარსის ოლქი, ზაქათალა, შირაქი, საჩაჩნეთი (დაღესტნის ოლქი) და სხვა.

თავადმა გიორგი ოთარის ძე ამილახვარმა სამხედრო კომისიას კატეგორიული უარი განუცხადა: მე ჩემს მამულს ტირიფონაში არავის მივყიდო.

ქართლის მარშალი თავ, ნიკ. ალექს. თუმანიშვილი არამცთუ არ ეხმარება ტირიფონის მცხოვრებით ამ უბედურობაში, პირიქით, როგორც ნამდვილ წყაროებიდან გვატყობინებენ, თავის წილსა უწყებაზედ ჰყიდის. თუ ეს მართალია, თავ. თუმანიშვილს დავიწყებია რომ იგი მარშალია, რომ იგი ჯერ საერთო საქმეს ემსახურება. ამ შემთხვევის შემდეგ კი იგი მარშლად ვეღარ ჩაითვლება.

თავ. გივი ნიკოლოზის ძე ამილახვარიც თავის წილს ტირიფონაში—3000 დესეტინას ამავე უწყებაზე ჰყიდის. თავად გივისაგანაც, როგორც ახლო მდგომ სანამესტნიკო მართველობასთან ქართველი გლეხები უფრო დახმარებას მოელოდნენ მაგრამ აქაც პირადმა ინტერესმა გაიტაცა წარჩინებული ქართველი და საზოგადო ინტერესი ანაცვალა. მხოლოდ იქნება ეს აიხსნება იმით, რომ თავადი გივი ამილახვალი ცოტათი დაშორებულია ქართულ საქმიანობას? მაგრამ ნუ თუ ქართველობის გლოვამ და გოდებამ მის სმენამდის ვეღარ მიაღწია! თუ მიაღწია, მაშინ იქნებ თავის დიდი მამის სამაგალითო სიყვარული ქართველ გლეხებისადმი და საქმისადმი მოაგონდეს, გაიხსენოს დღევანდელ ტირიფონის ქართველობაც, თავისი პირადი ინტერესი შეიკავოს და საერთო უბედურობაში მიეშველოს ქარველობას.

უცნობი.

თავადი ამილახვარი და მისი მამულის ყიდვა ქართველ გლეხების მიერ

ჩვეულებრივად მომიხდა დავლა ქართლის სოფლებისა და უმეტესად იმ სოფლებისა, სადაც ამას წინად მანთაშევმა შეიძინა ნაწილი აშურიანის ველიისა.

მართალია, ბევრსა ცდილობდა მანთაშევი მთლად შეეძინა აშურიანის ველი, მაგრამ ვერ მოუხდა, რადგანაც უმთავრესმა მონაწილეებ, თ-დ გიორგი ამილახვარმა ცივი უარი განუცხადა.

ჯერ შარშან ზაფხულსავე, გავარდა თუ არა ხმა, მანთაშევმა აშურიანი იყიდა და ახლა სურს სხვა მამულებიც იყიდოსო, მაშინვე გავარდა ზარი შიშისა და დაფაცურდნენ ადგილობრივი მოსახლე გლეხ-კაცები. არიქათ, თავს უშველოთ თორემ მილიონერი მანთაშევი კრიჭაში ჩაგვიდგა, მამულ ხელიდგან გვაცლის და ჩვენ რაღა გვეშველებაო.

ბედმაც არ უმტყუნათ სოფ. ბარნაბიანთ კარელებს; ამოიჩიეს კაცები, მიანდეს პატიოსან პირთ თავიანთი საქმეები და აფრინეს თ-დ გიორგი ამილახვართან:

გვიშველეთ, ჩვენამდის მოხსნილ ვითომ მანთაშევს სურს თქვენი ნაწილი აშურიანისა შეიძინოსო და ჩვენ ნუ გამოგვწირავთ, ჩვენვე მოგვეყიდეთო. გ. ამილახვარმა უპასუხა: მართალია მევაკრებიან, ფასსაც დიდს მაძლევენ, მაგრამ ძვლები ჩემი მამა-პაპათ მაგათ ყელზე დაადგებათ და ვერ მოინელებენო.

მხოლოდ თქვენ ეცადეთ, ფული მოაგროვეთ, ნაწილი ეხლა მომეცით და ნაწილი მერეო.

ბარნაბიანთ კარელებაც არ დააყოვნეს, აქეთ ეცნენ იქით ეცნენ და, როგორც იყო, საქმე მოაგვარეს.

კასპის აშურიანი, რომელიც ეკუთვნის გიორგი ამილახვარს შეიცავს სამასს დეს. მამულს; აი ამ მამულის ხელში ჩაგდება სურდა მანთაშევს რათა გაერთიანებინა მთლად აშურიანი და გამოეყენებინა თავისი მიზნებისათვის.

ბარნაბიანთ კარელებმა მიყიდ-მოყიდეს თურამ გააჩნდათ სახლში, მორიგდნენ გიორგი ამილახვართან 24 ათას მანეთად, მისცეს ბედ 8052 მანეთი და 50 კაპ.

1 აპრილს კიდევ უნდა მიეცად 1500 მან. და დანარჩენზე კი სთხოვეს დახმარება საგლეხო ბანკს სესხად.

მთლად სოფელი ბარნაბიანთი კარი და მათი ამორჩეული კაცები დიდს მადლობას უთვლიან თ-დ გიორგი ამილახვარს, რომ უკანასკნელმა არ გასწირა გლეხ-კაცობა და მით სამუდამოდ არ მოაშორა თავიანთ მიწა-წყალს.

ი. კერესელიძე.

რამ გაამდიდრა მეურნეები დანიაში

დანია პატარა სახელმწიფოა, უჭირავს მთლად სამნახევარი მილიონი დესეტინა მიწა, და შესდგება ორ ნახევარი მილიონი მცხოვრებისაგან.

ამ ორმოცდაათი წლის წინად იუტლანდია ცნობილი იყო, როგორც „ქვიშისა და ქარის სამეფო“, და ვის მოუვიდოდა თავში, თუ იქ როდისმე გადიშლებოდნენ ტყენი და აყვავდებოდნენ

ბალები. შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ თუ რა საშინელება უნდა დატრიალებულიყო დანიაში. როცა იქაური მცხოვრებნი იძულებულნი გახდნენ, ან ერჩინათ თავი ამ „ქვიშისა და ქარის სამეფოში“, ან და გაქვეულიყვნენ სადმე — რადგანაც რაც საუკეთესო ადგილები მოეპოვებოდათ, გერმანელებმა წაართვეს ომიანობის დროსა. მაშინ მხსნელი ანგელოზივით მოველინა იმათ გენრიკ დალგასი, რომელმაც დააარსა „იუტლიანდიის გამოუსადეგარ მიწების დამმუშავებელთა ამხანაგობა“. ეს იყო 1866 წ. დალგასის უბირველესი ცდა იყო, თავისი ამხანაგობისათვის მიექცია ხალხის ყურადღება და გამრავლებინა წევრების რიცხვი. წევრად იღებდნენ ვინც შეიტანდა ორ მანეთს. როცა წევრთა რიცხვი საკმაოდ გამრავლდა, როცა ამხანაგობას დაეტყო ცოტა-ოდნად ფესვების გამაგრება, დალგასიც შეუდგა თხრილების გაყვანას სილის მოსარწყავად და დაიწყო რგვა-თესვა მოშენება მიწის გამაუმჯობესებელ მცენარეთა. დალგასის ამხანაგობის მოღვაწეობა, ხალხისთვის აშკარა იქმნა, როგორც არა საპირადო ანგარიში; მისი პრესტიჟი, როგორც საზოგადოებისთვის სასარგებლო დაწესებულებისა შეუფერხებელი იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ ამხანაგობას უკვე ჰყავდა ორი საკუთარი ინჟინერი, რვა მეტყვევე (ლესნიჩი) თხუთმეტი მათი თანაშემწე და სხვა მოსამსახურენი, რომელთაც ეძლეოდათ სამოცდახუთი ათას მანეთამდე ჯამაგირი ამხანაგობისაგან. ერთი სიტყვით, ამხანაგობა დიდი ნაბიჯით მიდიოდა წინ, და მისი მომავალიც, თუ გადაავლებთ თვალს თანამედროვე დანიას, უზრუნველყოფილია. ამხანაგობის მოსამსახურენი ასწავლიდნენ ხალხს, აძლევდნენ რჩევა-დარიგებას სასარგებლო მცენარეთა მოვლა-მოშენებაზე, და ავრცელებდნენ ცოდნას მეურნეობის ყველა დარგებში. სოფლელნი ღრმა მადლობას უცხადებდნენ დალგასს, მისი სულ-გრძელობისათვის, მეტად თანაგრძნობით უხვდებოდნენ ყოველ მის წინადადებას და დიდად აფასებდნენ მის ეგოდენ თავ-გამოდებას. ამიტომ დალგასის ამხანაგობის გარშემო შესდგა ორმოცამდე სოფლის არტელი, რომელთა შემწეობით ამხანაგობას უფრო უადვილდებოდა თავის მიზნისთვის სამსახურის გაწევა. არტელები აჩვენებდნენ ხალხს ტყეთა პლანტაციების მოშენებას და ყოველ გაზაფხულზე, რამოდენიმე ათიათასი მანეთის სხვა და სხვანაირ ხეთა ნერგებს ურიგებდნენ თავიანთ წევრებს უფასოდ. ნების რჩევა-დარიგებით. ეხლა იქ გადაშლილია ათასზე მეტი ტყეთა პლანტაციები. გაყვანილია ასამდე

არხი, რომლითაცა რწყავენ ათიათას დესეტინა მიწას. უწინდებურად მგზავრი უკვე ვერა ნახავს დანიაში უდაბნოს და გაქვივრებულ ხალხს, თვალის წარმტაცად მინახებული ტყეთა პლანტაციებზე, საუკეთესო ჯიშის მშვენიერი პირუტყვი და ფრინველი; სიცოცხლით და ღონით სავსე, ცხოვრებით კმაყოფილი ადამიანი — აი ეხლანდელი დანიის სურათი. ხალხი ლოცვა-კურთხევით იხსენიებს თავის კეთილის-მყოფელ დალგასის სახელს, რომელმაც აუბილა თვალი და უჩვენა გზა ბედნიერ მომავლისაკენ.

დალგასი გარდაიცვალა 1894 წელს. ხალხმა აუგო მას ძეგლი იმ მიწაზე, რომელიც დაულალავმა მოღვაწემ უდაბნოდან ტყე-ყანად გადააქცია.

აი მოკლე ისტორია პირველი კოოპერატიული ამხანაგობისა დანიაში.

მართალია, მის განვითარებაში ხალხის თანაგრძნობამ ითამაშა უმთავრესი როლი, — მაგრამ ეს თანაგრძნობა ხომ დალგასის გულწრფელობით იყო გამოწვეული!

მიბაძავენ თუ არა ამ მაგალითს ჩვენში! — როცა ამდენი წერილები და სიტყვები იხარჯება მელიორაციაზე, რომელიც მეურნეობის გაუმჯობესების ღერძს შეადგენს, ბევრად ნაკლები კეთდება პრაქტიკულად თვით ამ მელიორაციისათვის.

დალგასის ამხანაგობამ საძირკველი ჩაუყარა დანიის ეკონომიურ ცხოვრების განვითარებას. მაგრამ მისი ეხლანდელ წერტილამდე მისაღწევად, საჭირო იყო კიდევ მეორე და მესამე ნაბიჯი... არ კმარა მარტო მიწის გაუმჯობესება, თუ ყურადღება არ მიექცა მის ნაყოფთა ხეირიან გასაღებას, რომ სარგებელი სოფლად მოვაქრეებს და სხვებს არ მიჰქონდეს. დანიელებმაც ეს აშკარად იგრძნეს: მიღზედავად იმისა რომ მეურნეობა გაუმჯობესებული იყო, მათი მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლებელი ხდებოდა, რომ კოოპერაციისთვის არ მიეყოთ ხელი. ამიტომ იმათ დააარსეს მერძეობის არტელები, ღორის და კვერცხის გამყიდველი ამხანაგობანი და სხ.

პირველი მერძეობის ამხანაგობა დანიაში დაარსდა 1882 წელს, და ოცი წლის განმავლობაში კი ამხანაგობათა რიცხვი ათასამდე აიწია. ეხლა თვითოეულ სოფელში არსებობს მერძეობის არტელი, საამხანაგო რძის საწყობით და ერბოს მკეთებელი მანქანებით. სოფლელნი იხდიან საწევრო გადასახადს, რომელიც განსაზღვრულია ძროხების რიცხვით, ან ამხანაგობის ქარხანაში შემუშავებული

ერბოს რაოდენობით—სულ ნახევარი კაპეიკს ერთ ფუთ ერბოზე, მსახურობენ კი უჯამაგიროდ არჩეული მორიგი წევრები. რძის ფასი წევრებს ეძლევათ თვიურად. ყველა ამხანაგობანი დანიაში შეადგენენ ერთს „კავშირს“, რომელსაც ჰყავს საკუთარი აგენტები ლონდონში, რომელნიც ატყობინებენ თუ როდის იქნება სახეირო ერბოს გაყიდვა, რომ იმის დაგვარად მოამზადოს საქონელი გასაგზავნად.

მერძეობის კაი ნიადაგზე დასაყენებლად ამხანაგობანი ყოველი ლონის ძიებით ხელს უწყობენ თეორეტიულ და პრაქტიკულ ცოდნის გავრცელებას, მართავენ სახალხო ლექციებს, პრაქტიკულ კურსებს, გამოფენებს, ექსკურსიებს - იმისდაგვარად, თუ სად რას ითხოვს საჭიროება. ასეთი მეცადინეობის წყალობით, დანიიდან გამოაქვთ ეხლა საუკეთესო ერბო, და თუ უწინ მისი ფასი მილიონის მეოთხედს შეადგენდა, — უკანასკნელ ხანებში, ყოველ წლივ, ოთხმოკდაათ-ათი მილიონი მანეთისა იყიდება ხოლმე. წარმოიდგინეთ აქედან თუ როგორ უნდა იზრდებოდეს ქონებრივად, ეს ბუნებით ღარიბი ქვეყანა! და რა გასაკვირველია მას შემდეგ, რომ იქაურ სოფლებს ყოველი დღე უკეთეს ხვალეს ჰპირდებოდეს! ყველა ეს გაერთიანებისა — კოოპერაციის წყალობით.

საჭიროა აღვნიშნოთ თუ ეს მოვლენა რა კონკურენციას იწვევს მცირე მესაკუთრე და დიდ მემამულეთა შორის. კონკურენცია დაიწყო მას აქეთ რაც სოფლის საჭიროებად გადაქცა მისი რძე კარგი ყოფილაყო, რომ უფრო მეტი ერბო მიეცა მისთვის. მცირე მესაკუთრესათვის ეს ადვილი იყო, რადგან თავის ოთხიოდე ძროხას იგი ცოლ-შვილიანად უვლის და ექცევა როგორც ორთავ თვალს. მემამულე ემყარება მოჯამაგირეს, და „სხვისი ხელი კი მარჯვე არ არის“... გამოვიდა რომ სოფლების ძროხა მეტს იწველება და რძესაც უფრო ერბოიანს იძლევა, ვიდრე მემამულეს ძროხა, რადგანაც მოვლა უკეთესი აქვს. თუ უწინ მემამულეთა განკარგულებაში იყო სხვა და სხვა ნაირი ძვირფასი მანქანა, რაც გლეხთათვის ხელსაყრელი არ იყო — ეხლა, არტელების დაარსების შემდეგ, იმათ საკუთარი მანქანებით მხარი გაუსწორეს თავიანთ მდიდარ მეზობლებს — რძისა და ერბოს ღირსებით კი ბევრად წინ გაუსწრეს.

გარდა ამისა, ამხანაგობათა შემწეობით, ოჯახში ერბოს შესამუშავებლად არ იკარგება დრო, რომელიც შეიძლება მოხმარებულ იქნეს მეურნეობის სხვა რომელიმე ნაწილისთვის. უწინ საჭირო

მანქანა სოფლებს ხელქვეშ არ მოეპოვებოდა და ერბოს მომზადებას იგი ბევრხანს ანდობებდა. ეხლა, რადგან ქარხნები უმზადებენ ერბოს, მთელი ეს დრო მის განკარგულებაშია, სოფლებს საშუალება მიეცა, შეუწუხებლად ის მოახმარონ მშრომლისა და ფრინველის მოშენებას.

მერძეობასთან ერთად მელორეობაც იმიტომ იყო განოსადეგი, რომ ტყუილად არ დაკარგულიყო ნადული, რაც ერბოს დამუშავების შემდეგ უნდა გადაექციათ ხოლმე, და რაც სხვა საკვებად შეერეული კარგად ასუქებს ღორებს.

ღორები უნდა გასაღებულ იყვნენ ინგლისში, რომელიც მოითხოვს საუკეთესო ხორცს და ერთნაირ ზომის, ერთგვარად დამზადებულს, რისი დაკმაყოფილებაც ყოველად შეუძლებელი იქმნებოდა, თუ მეურნეები ცალ-ცალკე დაიწყებდნენ ღორის კვლას და თუ ხორცისა და ქონის მომზადებას, ყველა მათგანი თავისებურად შეუდგებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ საქონელი ერთგვარი არ გამოვიდოდა — ინგლისის ბაზარში მისი გამოტანა სახეირო არ იქნებოდა.

ამიტომ იმათ დააარსეს საერთო ღორის საკლავები და გამოიდგელი ამხანაგობანი, რომელნიც ყოველ ლონისძიებას ხმარობდნენ მელორეობის გაუმჯობესებასათვის და ხელს უწყობდნენ ღორის ხორცის ხეირიან გასაღებას; რის წყალობით შემოსავალი დღითიდღე იზრდებოდა; და თუ 1894 წელს, ცოცხალი ან დაკლული ღორი მხოლოდ ოცდასამი მილიონი მანეთისა იყო გაყიდული — 1906 წელს მარტო ქონი გაიყიდა ოცდაცხრა მილიონისა.

ჩვენგანაც მიაქვთ ღორის ხორცი უცხო ქვეყნებში, მაგრამ მოგება მოვაჭრეთა ჯიბეში რჩება ხოლმე, — მაშინ როცა ჩვენ შევეძლო დავდგომოდით იმ გზას, რომელსაც გვიჩვენებს დანია.

მაშა-კაცები რომ მელორეობას შეუდგნენ, დასახლისებმა თავიანთი თავისუფალი დრო ფრინველთა მოშენებას მოანდომეს. ამას მოჰყვა კვერცხით ვაჭრობა, და ესეც წარმოიდგინეთ, ასეთი არა საყურადღებო საქონელი! თხუთმეტი მილიონის შემოსავალს აძლევს დანიას ყოველ წლივ. იქ სასწაული კი არ ხდება და ციდან არ სცვივა მილიონები, მხოლოდ იქ, საჭირო გამოცდის საფეხურები განვლეს, ამ სიმადლეზე ასასვლელად. მაგალითად 1890 წელს კვერცხის ფასი იქ მინიმუმამდე დაიწია. სოფლებებმა ქათმის მოვლა არ იცოდნენ; ამიტომ კვერცხიც არ ვარგოდა, და

იგიც სოფლის მოვაჭრეებს მიჰქონდათ. მაგრამ ასეთი უხერხული მდგომარეობა რომ არ გაგრძელებულიყო, 1805 წელს დანიაში დაარსდა „კვერცხის გამყიდველი ამხანაგობა“. მთელი დანია დაიყო რამოდენიმე ნაწილად. თვითოეულ მათგანში იხსნება საოლქო ამხანაგობა, რომელიც თავის ოლქში კრებს ან ყიდულობს კვერცხებს. ყველა საოლქო ამხანაგობანი შეადგენენ ერთს ერთეულს; დანიაში: „კვერცხების გამყიდველ ამხანაგობას“. წევრებს შეაქვთ საწევრო გადასახადი, ერთი თუ ორი შაური ქათმის თავზე. ეს ფული ემატება სამუშაო თანხას, რომლითაც ამხანაგობა ყიდულობს კვერცხს თავისი წევრებისაგან. კვერცხის ფასს საოლქო ამხანაგობა საზღვრავს, ცენტრალურ ამხანაგობასთან მოლაპარაკებით. ვინაკობაა თუ ამხანაგობამ კვერცხი უფრო მეტ ფასად გაყიდა, მაშინ მოგება წევრებს ურიგდება, მათ შემოტანილ კვერცხების რაოდენობით, და კაპიტალის თავნი კი ამხანაგობის კასაში რჩება, ისევ კვერცხების სასყიდლიად წევრებისაგან. წევრების მოვალეობაა კვერცხების სისუფთავე. ამიტომ იმათ ურიგებენ ბეჭდებს, რომლითაც ინიშნება კვერცხზე ორი ნომერი: ერთი ნომერი ამხანაგობისა და მეორე წევრისა. ამით ცენტრალურ ამხანაგობაში თუ შეხვდა უვარგისი კვერცხი, მათი გარჩევის დროს—მაშინვე მიხვდებიან რომელი საზოგადოების რომელი წევრისგანაც იქნება ის მიღებული, და ახდევინებენ მას ჯარიმად ხუთ-ხუთ მანეთს თვითოეულ შემოტანილ უვარგის კვერცხზე. ასეთი შემთხვევების უმთავრესი მიზეზი, ქათმის მოვლა-მოშენების უცოდინარობა იყო. საჭირო იყო მათი ჯიშის გაუმჯობესება. ამიტომ „კვერცხის გამყიდველ ამხანაგობასთან“ ერთად დაარსდა „ქათმების ჯიშის გამაუმჯობესებელი ამხანაგობა“.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მერძეობა, მელორეობა და მეკვერცხეობის გაფართოვება სოფლებითა მიწის რაოდენობაზე არ არის დამოკიდებული. მაგალითად აიღეთ მცირე მესაკუთრე დანიაში, რომელსაცა აქვს ნხოლოდ სამი „დესეტინა“ მიწა და მისი მდიდარი მეზობელი, რომელსაც 80 „დესეტინა“ აქვს, ე. ი. ოცდა შვიდჯერ მეტი; და ნახავთ რომ მას შემოსავალი შვიდჯერ მეტიც არ შემოუვა, რადგან იგი სხვისი თვალ-ყურით და სხვისი ხელით უფლის საქონელს. რასაკვირველია, ჩვენ მხედველობაში არა გვაქვს პურის მოსავალი, რომლის წყალობით, უეჭველად, უპირატესობა დიდი მენამულის მხარზე რჩება; მაგრამ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ უკანასკნელ ხანებში დანიიდან არა თუ არ გააქვთ პური, არამედ თვითონ დანიელნი საზღვარგარეთ ყიდულობენ მას, რამოდენიმე ათი მილიონი მანეთისას სამაგიეროდ, დანია იღებს ერბოზე ყოველ წლივ ოთხმოცდაათ მილიონ მანეთს, ღორის ხორცზე - ორ-

მოცდაათ მილიონს, კვერცხზე თხუთმეტ მილიონს. ამათი წარმოება კი მცირე მესაკუთრეთა ხელშია კოოპერაციის წყალობით და კვლავ იმ დასკვნამდე მივედით, რომ მიწის რაოდენობა არ თამაშობს იქ უმთავრეს როლსა.

გვრჩება მოვიფიქროთ, თუ რამდენი ასი მილიონი უნდა მომატებოდა ჩვენს სოფლებს, რომ ჩვენშიც მოეწყოს: კოოპერატიული მეღვინეობის ამხანაგობანი, საამხანაგო ღვინის სარდაფები, სოფლის სხვა და სხვა ნაწარმოებთა გამყიდველი ამხანაგობანი, მეურნეობის სხვა და სხვა დარგთა გამაუმჯობესებელი და მომხმარებელი ამხანაგობანი—როგორც დანიაშია მოწყობილი მერძეობის, მელორეობის და მეკვერცხეობის საქმე—რაც ჩვენთვის უჯრო აღვილია...

ან წარმოიდგინეთ: სად დანია და სად ჩვენი ქვეყანა!

ამ ჩრდილოეთის უდაბნოში, სოფლებითაგან გამოვლილ გაჭირვებას, ან უკეთ ვსთქვათ, განსაცდელს უმიწაწყლობისას—ჩვენებური გლეხი არა თუ არა თუ არ განიცდის, არც კი წარმოიდგენს. მიუხედავად ამისა, თუ იქ ხალხის მდგომარეობა ისე მოეწყო, რომ ჩვენ უკეთეს ვერ ვინატრებთ—მაშ ნუ თუ ჩვენ ბუნების სიმდიდრე გვიშლის ხელს? აბა, თუ იმათ ყოველი დღე უკეთეს ხვალეს პირდება—რატომ ჩვენთვის ყოველი დღე, მომეტებული ჭირვარამის მომასწავებელია? ნუ თუ ხალხის გამრავლება რაც სხვა პირობებში, ბუნების ხვირიან ექსპლოატაციის გაფართოვებისათვის, ძალ-ღონე-ხერხის მომატება-გამაგრებას უნდა მოასწავებდეს ჩვენ გვაბრკოლებს?..

არა—ეს შეუძლებელია!..

„დროა შეუდგეთ საქმეს“ მეთქი დავასვამდი აქა, მაგრამ საუბედუროდ ეს სიტყვები იმდენჯერ განუმეორებიათ, რომ თითქმის, ყოველ სიტყვის თუ წერილის ტერმინად გადაქცეულან; და ჩვენც ისე შევეჩვიეთ მათ მოსმენას, რომ სრულიად ჩვეულებრივ მოვლენად ვსთვლით, როცა გაიძახიან— „დროა შეუდგეთ საქმესო“—უმნიშვნელოდ, და უყურებენ ერთმანეთს, თითქო თავიანთ მოვალეობა აუსრულებიათ და უცდიან კიდევ ბრძანებას...

არა... სიტყვა მარტო არა კმარა!— ის უნდა საქმედ გადაიქცეს...

ვ. ფიფია.

ქ. კაგვი.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

✠ უმველდღიური საკოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი ✠



„იმერეთი“

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის. გაზეთის ფასი: ერთი წლით — 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. ერთი თვით — 80 კ. ცალკე ნომერი ერთი შაური.

■ ადრესი: Кутаисъ, редакція газ. „Имерети“. ■

ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო, სათეატრო და
საზოგადოებრივი მინაპრის სურათებისა ჟურნალი

„თეატრი და ცხოვრება“

ჟურნალს საგანგებო თანამშრომელ-კორესპოდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარ-გარედ. ჟურნალში
ითანამშრომლებენ ცნობილი მწიგნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, მკვლევანნი, და მხატვარ-ხელოვანნი.
ჟურნალის ფასი: წლიურად 5 მ. (ამ წლის დამლევამდე — 4 მ.) ნახევარი წლით 3 მან. ცალკე
ნომერი ორი შაური. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.
ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრამატ. საზოგ. კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან („სორაბ-
ნის“ სტამბაში).

1894 წლიდან **1914 წლამდის**

საუკეთესო დგინოდ ითვლება დგინოდ

საზოგადოება „კახეთი“-სა

ტელეფონი: № 73 და 3-51. თბილისი: გოგოლ-ს ქუჩა 63 და ერევნის მოედანი.

განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენტში, მოსკოვში, ბათუმში, რასტოვში და სხ.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა 5.